ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №65

ქ.ქუთაისი

ერთის მხრივ ა(ა)იპ-ი ,,ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება" მისი მმართველის კობა ფხაკაძის სახით, მის. ქ. ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ .№9 (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ტყუპები მისი დირექტორი იური ყურაშვილის სახით ს/კ 412741608 (შემდგომში მიმწოდებელი), ვხემძღვანელობთ, რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების 2019 წლის ბიუჯეტის სახსრებით გაერთიანების სპორტული მოედნების დასახაზად კირის შესყიდვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი:

2.1 შესყიდვის ობიექტია: კირი

CPV კოდი 44900000 44921200

3. ხელშეკრულებს საერთო ღირებულება:

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს: სულ 100 ლარი საქართველოში დადგენილი ყველა სახის ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია:

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი , პირობები საგარანტიო ვადები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულები გაფორმებიდან 5 დღის ვადაში

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა **დღეს** ----------

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

6.3 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 საბანკო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების გაფორმებიდან, 5 დღის ვადაში.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას:

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერლობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეებს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებობისათვის.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდაბულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება საჯარიმო სანქცია, ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 % ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხეკშეკრულების მოქმედება ძალაშია ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევის ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისათვის. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2 სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3 ხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

121 ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუხწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამის

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირება შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა.ა.ი.პ-ის "სპორტულ დაწესებულებათა გერთიანების შესყიდვების სპეციალისტის მ/შ ნინო გაჩეჩილაძე.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაბისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო ორი ეგზემპლარი შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მის შედეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი
ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის სპორტულ	შ.პ.ს.,, ტყუპები"
დაწესებულებათა გაერთიანება	ქუთაისი ლერმონტოვის ქუჩა 1
მის.ქ.ქუთაისი წმინდა ნინოს ქ №9	
ს/კ412677269	
ბანკის კოდი TRESS.GE	ს/კ 412741608
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს ვითიბი ბანკი
ორგანიზაციის კოდი 050102	ა/ა GE 05 VT 00 00 00 557 136 02
ტელ: (0431)25 59 99	
გაერთიანების მმართველი	შ.პ.ს.,, ტყუპები" დირექტორი
კობა ფხაკაძე	იური ყურაშვილი

NNLE Kutaisi City Sport Institutions Union

Digitally signed by NNLE Kutaisi City Sport Institutions Union
DN: cn=NNLE Kutaisi City Sport Institutions Union, 2.5.4.97=NTRGE-412677269, o=• (•) ...., c=GE
Date: 2019.05.01 15:36:27 +04'00'

Iuri Qurashvili

Подписано цифровой подписью: Iuri Qurashvili
DN: cn=Iuri Qurashvili, serialNumber=60001018482, o=Citizen, c=GE
Дата: 2019.05.01 15:01:24 +04'00'